# პირველად — სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში!





შეუძლია თუ არა მოსკოვს ჩაატაროს მსოფლიო სპორტის ყველაზე დიდი და პასუხსაგები ფორუმი? ეს საკითხი დღეს რიგით სპორტის მოყვარულშიც არ იწვევს ეჭვს. მოსკოვს ახსოვს არა ერთი და ორი ბრწყინვალედ ორგანიზებული, მასშტაბური შეჯიბრება. ჯერ რად ღირს თუნდაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, რომლებიც მასობრიობით თვით ოლიმპიურ თამაშებსაც არ ჩამოუვარდება. ახლა გაიხსენეთ უამრავი საერთაშორისო ტურნირი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი, ანდა მსოფლიო უნივერსიადა, რომელიც, საერთო აღიარებით, არსად არ ჩატარებულა ისე კარგად, როგორც საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში.

უნივერსიადის შემდეგ პრესაში ბევრი ქება დაიბეჭდა მოსკოვის მისამართით. ყველა ამ წერილის აზრი ერთი იყო: თუ კი მოსკოვი მიიღებს 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარების უფლებას, მსოფლიო მოწმე იქნება სპორტის ყველაზე ნათელი და გრანდიოზული ზეიმისა. ეს უფლება მოსკოვმა უკვე მიიღო.

• • •

სურათებზე: ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი უნივერსიადის საზეიმო გახსნის დღეს; ლუჟნიკის სპორტის სასახლის სარბიელზე ასპარეზობენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა ნაკრები გუნდები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 212 (5242)

1974 წ. 26 ოქტომბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## მოსკოვი — ოლიმპიადის მასპინძელი

ვენა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე მოსსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პრომისლოვმა დელეგაციის, მოსსაბჭოს აღმასკომისა და სსრ კავშირის მილიონობით სპორტის მოყვარულის სახელით მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მის პრეზიდენტს მ. კილანინს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს ისეთი დიდი და საპატიო უფლების მინიჭებისთვის, როგორიცაა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა.

— ჩვენ, — თქვა ვ. პრომისლოვმა, — დიდ მადლობას მოვახსენებთ სპორტულ მოღვაწეებს, საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებს, დედამიწის ყველა კონტინენტის ხალხებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მოსკოვის კანდიდატურას.

ჩვენ გვესმის, — ხაზგასმით აღნიშნა მოსსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, — რომ ოლიმპიადის ჩატარება არის არა მარტო საპატიო უფლება, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაც. ვარწმუნებთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ყველა სპორტსმენსა და სპორტის მოყვარულს, რომ მოსკოვი და მოსკოველები პასუხისმგებლობის უდიდესი შეგნებით დაუყოვნებლივ შეუდგებიან მზადებას ამ უდიდესი დღესასწაულისთვის. საბჭოთა დედაქალაქს უკვე აქვს მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რათა ოლიმპიადის მონაწილენი მიიღოს და შეჯიბრებები მაღალ დონეზე ჩაატაროს სპორტის ყველა სახეობაში. 1980 წლისთვის კი კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობები გვექნება. მოსკოვში ყველაფერი გაკეთდება იმ მიზნით, რომ ოლიმპიადის მონაწილეებსა და სტუმრებს ტრადიციული რუსული სტუმართმოყვარეობით შევხვდეთ.

— ოლიმპიური თამაშები, — თქვა ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა, — მუდამ ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის სულისკვეთებით ტარდებოდა. მოსკოვი ამ მხრივ გამონაკლისი არ იქნება. დარწმუნებული ვართ, მოსკოვის ოლიმპიადა მშვიდობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცევა.

საბჭოთა დელეგაციის წევრებმა დამსწრეთა წინაშე პირობა დადეს, რომ მოსკოვში ყველა შეჯიბრება ჩატარდება საერთაშორისო ფედერაციის წესების დაცვით და ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, რომ ასპარეზობაში მონაწილეობას შეძლებს სოკ-ის წევრი ყველა ქვეყანა, რომ მოსკოვი მიიღებს ყველას, ვინც ისურვებს თამაშების სტუმარი იყოს.

პრეს-ცენტრში საკდესის კორესპონდენტი შეხვდა ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს კ. ჰელერს. მან თქვა: „ჩვენ, ავსტრიელ სპორტსმენებს, დიდი ხანია კარგი ურთიერთობა გვაქვს საბჭოთა კავშირთან. მე მიხარია, რომ 1980 წლის თამაშები საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში შედგება. ჩვენ ვეცდებით მოსკოვში ძლიერი გუნდი გავგზავნოთ".

მოსკოვის არჩევასთან ერთად გამოცხადდა, რომ 1980 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდება ამერიკის ქალაქ ლეიკ-პლესიდში.

## არმიელთა მედლები და რეკორდები

მინსკში დამთავრდა შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა ამ ასპარეზობაში ხუთი სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვეს და საქართველოს ორი რეკორდი დაამყარეს.

ქების ღირსია სპორტის ოსტატი ე. აბაჯიანი, რომელმაც სტანდარტზე (3×40) მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 1162 ქულა მოაგროვა და ვერცხლის ჯილდო მიიღო.

აბაჯიანის შედეგი 8 ქულით სჯობს რესპუბლიკის ძველ რეკორდს, რომელიც 1964 წლიდან დინამოელ სპორტის დამსახურებულ ოსტატს შ. ქველიაშვილს ეკუთვნოდა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებს წარმატება წილად ხვდათ ამ იარაღით შეჯიბრების კომპლექსის ცალკეულ სახეობებშიც: წოლელა სროლაში სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ს. ნიკოგოსიანმა 400-დან 398 ქულა მოაგროვა და პირველობა დაისაკუთრა. დგომელა სროლაში აბაჯიანმა ნოვოსიბირსკელ ვ. აგეევთან პირველობა მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ ბოლო სერიაში შედარებით ცუდად ისროლა. ორივემ 379—379 ქულა მოაგროვა. ეს 2 ქულით აღემატება აბაჯიანისავე რესპუბლიკურ რეკორდს.

სამაგიეროდ, აბაჯიანმა პნევმატური შაშხანით შეჯიბრებაში იმარჯვა. აქ მას და ვ. პარხიმოვიჩს (ბელორუსია) 384-384 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ თბილისელი ბოლო გასროლებში მეტოქეზე ზუსტი აღმოჩნდა.

„გაქცეულ-ირემზე" 50 ერთმაგ გასროლაში გაიმარჯვა ი. შულმანმა (ბელორუსია) — 242 ქულა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა, თბილისელმა გ. თავდიდიშვილმა და ბაქოელმა ა. აგარონოვმა 239-239 ქულა მოაგროვეს. მათ შორის დამატებითი სერია დაინიშნა, რომელიც აგარონოვმა მოიგო. თავდიდიშვილს III ადგილი ერგო.

სტანდარტზე 3×20 მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში თბილისელმა ნ. სკრინიკოვამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 564 ქულა.

რ. კაცობაშვილი.

## მრთავამრთი სწორი გადაწყვეტილება

მსოფლიო საზოგადოებრიობა, სპორტული სამყარო მხურვალედ იწონებენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მოსკოვში ჩატარების შესახებ.

— დიდად მოხარული ვართ, რომ მოსკოვი სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქებიდან პირველი მიესალმება მთელი მსოფლიოს სპორტულ ახალგაზრდობას ოლიმპიადაზე — მშვიდობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, — თქვა ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ რ. დუშეკმა, — თავისი სპორტსმენების სახელოვანი წარმატებებითა და მასობრივი ფიზკულტურის დიდი მასშტაბებით ცნობილ ქვეყანას სამართლიანად მიენიჭა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით დიდი კმაყოფილება გამოთქვა პოლონეთის ფიზკულტურისა და ტურიზმის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. კაპიტანმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის არჩევა ოლიმპიადის დედაქალაქად არის აღიარება არა მარტო საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკისა, არამედ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დიდი მიღწევებისა სპორტის დარგში. ეს გადაწყვეტილება გამოხატავს მთელი პროგრესული კაცობრიობის, ასი ათასობით სპორტსმენის აზრს.

1980 წლის ოლიმპიადის მასპინძლად მოსკოვის არჩევამ დიდი გამოხმაურება პოვა ვარნაში სპორტულ ტანვარჯიშში ამჟამად მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მ. ბანგერტერმა თქვა: მოსკოვმა დაიმსახურა ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება. მე ვიცი, რა ბრწყინვალედ ტარდება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები საბჭოთა კავშირში და ძალიან კმაყოფილი ვარ სოკ-ის არჩევანით.

ცნობილმა ბულგარელმა სპორტსმენმა, კლასიკურ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებში სამგზის გამარჯვებულმა პ. კიროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოკ-ის გადაწყვეტილება განაპირობა საბჭოთა ათლეტების დიდმა მიღწევებმა, მათმა მოწინავე პოზიციებმა საერთაშორისო სპორტში. სახელგანთქმული ჩემპიონის აზრით, მოსკოვის ოლიმპიადა შეიძლება ყველაზე ღირსშესანიშნავი იყოს ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

მოსკოველებს მიესალმება დელის მერი კ. ნ. სახნიც. „საუცხოო სპორტული ნაგებობანი, მოსკოველთა კეთილმოსურნეობა და ობიექტურობა, სახელმწიფოს ზრუნვა საბჭოთა ხალხის ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის — ყოველივე ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია საბჭოთა დედაქალაქის სასარგებლოდ, — თქვა მან. — ღრმად დარწმუნებული ვარ, 1980 წლის ოლიმპიური თამაშები ძალიან მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდება, თამაშების მონაწილენი გარემოსილი იქნებიან საბჭოთა ადამიანების ყურადღებით, რომელთა სტუმართმოყვარეობაც საყოველთაოდ ცნობილია". (საკდესი).

## მუშაობა დაამთავრა

ვენა, 25 ოქტომბერი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 75-ე სესიამ, რომელმაც 1980 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების ქალაქებად შესაბამისად მოსკოვი და ლეიკ-პლესიდი (აშშ) დაასახელა, მუშაობა დაამთავრა. დამტკიცდა, აგრეთვე, უახლოესი ოლიმპიური თამაშების — მონრეალისა და ინსბრუკის ოლიმპიადების პროგრამები, გადაწყვეტილებანი ოლიმპიური მოძრაობის სხვა საკითხებზე. სესიამ სოკ-ის წევრად მიიღო ახალი გვინეის —პაპუას ოლიმპიური კომიტეტი და ახლა სოკ-ი თავის რიგებში 132 ეროვნულ კომიტეტს აერთიანებს.

## ქალები ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობენ

მეხიკო, 24 ოქტომბერი. ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ შეჯიბრებებში სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გვადალახარაში ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობს. ამ ეტაპის მეორე მატჩი მან უნგრეთის ნაკრებს მოუგო ანგარიშით 3:0 (15:4, 15:5, 15:13).

მექსიკის დედაქალაქში, როგორც ცნობილია, ვაჟები ასპარეზობენ. საბჭოთა ნაკრებმა მეორე მატჩში რუმინელებს აჯობა — 3:1 (8:15, 15:6, 15:9, 15:10).

წაუგებლად მოთამაშე იაპონიის ეროვნულმა გუნდმა ფინალური ტურნირის მეორე დღეს მსოფლიო ჩემპიონს — გდრ-ის ნაკრებს მოუგო — 3:1 (15:12, 15:9, 14:16, 15:12).

უაღრესად მწვავე გამოდგა პოლონეთის შესანიშნავი გუნდის მატჩი ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან. პოლონელებმა პირველი ორი ხელი წააგეს (13:15, 14:16), მაგრამ შემდეგ შეძლეს თამაში გარდატეხის შეტანა და მომდევნო სამი პარტია თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 15:6, 15:10, 15:5.

**19$^{45}$**

◆ მეხიკო, 25 ოქტომბერი. ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში სამი ტურის შემდეგ ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობენ სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა კოლექტივები, აგრეთვე, პოლონეთის ვაჟთა ეროვნული გუნდი. საბჭოთა ქალებმა მესამე მატჩში სძლიეს გვადალახარაში გდრ-ის სპორტსმენებს — 3:0 (15:13, 15:11, 15:7). სსრ კავშირის ვაჟებმა მეხიკოში აჯობეს ოლიმპიურ ჩემპიონებს, იაპონელებს — 3:0 (15:10, 16:14, 18:16). მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს შეხვედრა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატის მატჩებიდან. ვაჟთა ტურნირის ლიდერებმა — პოლონელებმა ეს უკვე მესამე შეხვედრა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით (ამჯერად აჯობეს გდრ-ის გუნდს) — 3:2 (15:7, 15:9, 13:15, 12:15, 15:5). ეს თამაში ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. საბჭოთა ქალთა ნაკრებს ჩასატარებელი აქვს მატჩები რუმინელებთან და იაპონელებთან (ბოლო დღეს). საბჭოთა ვაჟები გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ტურიშჩევა



ო. კორბუტი



ე. საადი



რ. სიხარულიძე



ნ. დრონოვა



ნ. კიმი

# ტანმოვარჯიშე ქალთა სიხარული

ვარნა, 24 ოქტომბერი, (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებისთვის ოთხშაბათი ორმაგად სასიხარულო იყო: ჯერ იყო და გაიგეს, რომ მოსკოვი 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად აირჩიეს, შემდეგ კი მათ გუნდური გამარჯვებისთვის ოქროს მედლები გადასცეს. ლ. ტურიშჩევამ, ო. კორბუტმა, ე. საადიმ, რ. სიხარულიძემ, ნ. დრონოვამ, ნ. კიმმა მრავალჭიდის ჯამში სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით 384,15 ქულა დააგროვეს.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს გდრ-ისა და უნგრეთის სპორტსმენმა ქალებმა, რომლებსაც შესაბამისად 376,55 და 370,6 ქულა აქვთ.

ჩემპიონატი უდიდეს ინტერესს იწვევს. მაგალითად, ქალთა შეჯიბრებას ნებისმიერი პროგრამით ევროპის 24 ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში უყურებდნენ.

სანახავი კი მართლაც იყო: საბჭოთა და მსოფლიო ტანვარჯიშის აღიარებულ ლიდერებს ლ. ტურიშჩევასა და ო. კორბუტს შორის დაძაბული, გამაღელვებელი ბრძოლა გაჩაღდა. მკაცრ მსაჯებს საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლები არც ერთხელ არ შეუფასებიათ 9,7-ზე ნაკლები ქულით. ტურიშჩევამ ორჯერ მიიღო ჭეშმარიტად ფანტასტიკური „ნიშნები“ — 9,9 — ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში.

კორბუტმა ხალიჩაზე 9,85 ქულა მიიღო, ორძელზე — 9,8.

თავისუფალი ვარჯიშის შესრულებით მაყურებლები დაატყვევეს საადიმ და სიხარულიძემ, რომლებსაც შესაბამისად 9,8 და 9,85 ქულა აქვთ.

კარგად გამოვიდნენ გდრ-ის, რუმინეთის, უნგრეთის უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალებიც. გერმანელმა ა. ცინკემ ორძელზე ტურიშჩევასა და კორბუტსაც კი აჯობა — 9,9 ქულა.

გაგაცნობთ პირად ჩათვლაში უძლიერესთა ათეულს: 1. ტურიშჩევა — 78,3 ქულა, 2. კორბუტი — 77,8, 3. ჰელმანი (გდრ) — 76,45, 4. საადი — 75,75, 5. სიხარულიძე — 75,7, 6. დრონოვა — 75,55 (სავალდებულო პროგრამის შემდეგ დრონოვა და უნგრელი მედვეცკი V-VI ადგილებს იყოფდნენ 37,55-37,55 და არა 36,55-36,55 ქულით, როგორც საკდესის შეცდომის გამო ვიუწყებოდით. — რედ.), 7-8. გორიაკი (რუმინეთი) და ცინკე — 75,25-75,25, 9-10. კიმი და მედვეცკი — 75-75.

• •

## საპატიო სიგელებით

მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლისთვის საქართველოს ტანმოვარჯიშეები რ. სიხარულიძე და ნ. დრონოვა დაჯილდოვდნენ რესპუბლიკური სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

# ანდრიანოვის წინსვლა

ვარნა, 24 ოქტომბერი. (საკდესი). მსოფლიოს თვრამეტი უძლიერესი ვაჟთა ნაკრების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებმაც მრავალჭიდის ჯამში 571,4 ქულა დააგროვეს. ნებისმიერი პროგრამით საბჭოთა ოსტატები ჩემპიონების დონეზე გამოდიოდნენ, მაგრამ „სკოლაში“ კვლავ ჩამორჩნენ და საბოლოოდ II ადგილი დაიკავეს — 567,35. ბრინჯაო ხვდა გდრ-ის გუნდს — 562,4.

იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა, განსაკუთრებით მათმა ლიდერებმა ს. კასამაცუმ, ე. კენმოცუმ და ზ. ცუკაჰარამ ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრებაში მათთვის დამახასიათებელი მაღალი კლასი გამოავლინეს. მაშინაც კი, როცა ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი ს. კატო ტრავმის გამო ბრძოლას გამოეთიშა, მისმა ხუთმა თანაგუნდელმა შეძლო უპირატესობის შენარჩუნება.

საბჭოთა ნაკრებში მისთვის დამახასიათებელი ბრწყინვალებით გამოვიდა ქვეყნის ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის მფლობელი, ვლადიმირელი სტუდენტი ნ. ანდრიანოვი. სავალდებულო პროგრამით თავისუფალ ვარჯიშში მარცხი რომ არა, ანდრიანოვი შეიძლებოდა პირად ჩათვლაში ლიდერი ყოფილიყო. ახლა იგი II ადგილზეა — 114,95. წინ არის მხოლოდ კასამაცუ — 116,1.

ანდრიანოვმა განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბჯენით ხტომაში, ორძელზე და რგოლებზე ვარჯიშში. აქ სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების ჯამში მას საუკეთესო შედეგი აქვს. ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში მაღალი ქულებით გაგვახარა გროზნოელმა სტუდენტმა ვ. მარჩენკომ. გუნდის ღირსება კვლავ კარგად დაიცვა ერევნელმა ტანმოვარჯიშემ ე. მიქაელიანმა.

ექვსეულში კასამაცუს და ანდრიანოვის შემდეგ მოდიან 3. კენმოცუ — 114,5, 4. ვ. ტიუნე (გდრ) — 114,2, 5. ცუკაჰარა — 114,1, 6. ხ. კაძიამა (იაპონია) — 113,8.

მიქაელიანი მეშვიდეა — 113,75, მარჩენკო — მერვე — 113,5, პ. შამუგია (თბილისი) — მეთორმეტე — 112,45, ვ. საფრონოვი (ლვოვი) — მეჩვიდმეტე — 111,25.

მოსკოველი ვ. კლიმენკო ოთხ იარაღზე გამოვიდა, მაგრამ დაშავდა და ასპარეზობას გამოეთიშა. პირად პირველობაში იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს.

# ხელბურთელ ვაჟთა მეთოთხმეტე სტარტი

23 ოქტომბერს დონის როსტოვისა და შიაულიაის სპორტულ დარბაზებში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა ათმა გუნდმა XIV საკავშირო ჩემპიონატი დაიწყო.

როსტოვში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი (მსი), კრასნოდარის „უნივერსიტეტი“, კიევის ასკ, ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდი და მოსკოვის „კუნცევო“. შიაულიაის ჯგუფში თამაშობენ: ცსკა, ზაპოროჟიეს გუნდები — „ალუმინსტროი“ და მეტალურგიის ინსტიტუტის კოლექტივი, მინსკის „პოლიტექნიკი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“.

გათამაშების პირველი წრე გაისად თებერვალში დასრულდება ზაპოროჟიეში, ხოლო ჩემპიონატი აპრილში დამთავრდება კიევში.

პირველი შეხვედრები: მსი — ასკ 39:23 (21:12), „უნივერსიტეტი“ — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი 26:23 (15:8), ცსკა — „ალუმინსტროი“ 32:20 (16:11), მეტალურგიის ინსტიტუტი — „პოლიტექნიკი“ 28:21 (16:11).

მეორე დღეს: ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი — ასკ 23:22 (14:13), „უნივერსიტეტი“ — „კუნცევო“ 25:24 (13:12), ცსკა — „პოლიტექნიკი“ 31:17 (14:13), მეტალურგიის ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“ 25:21 (11:11).

ჩემპიონატის პირველი ტური 27 ოქტომბერს დასრულდება.

# „პრესტიჟის ტურნირი“

მანილა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). მოჭადრაკე ვაჟთა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა დიდოსტატების დიდი წარმატებით დამთავრდა: I ადგილი დაიკავა ე. ვასიუკოვმა (10,5 ქულა), ხოლო II — ტ. პეტროსიანმა (9,5).

III ადგილზეა დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი — 9 ქულა.

პეტროსიანის აზრით, ვასიუკოვის წარმატება სავსებით დამსახურებულია. იგი ყველაზე უკეთ თამაშობდა და პირისპირ ჭიდილში აჯობა ყველა ძირითად მეტოქეს — ლარსენს, ლ. პორტიშს (უნგრეთი), ფ. გეორგიუს (რუმინეთი) და ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია). ვასიუკოვს გამოარჩევდა სადებიუტო რეპერტუარის ჩინებული მომზადება და პოზიციიდან უპირატესობის მაქსიმალური ამოღება, ხოლო ლარსენთან პარტია ალბათ სპეციალურ პრიზს მიიღებს სილამაზისთვის.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ვასიუკოვმა განაცხადა, ტურნირის შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან საბჭოთა დიდოსტატებმა პირველად ითამაშეს ფილიპინებზე და ასეთ წარმატებას მიაღწიესო.

პირადად ვასიუკოვისთვის ეს შეჯიბრება ერთგვარად „პრესტიჟის ტურნირი“ იყო, ვინაიდან სწორედ მანილაში მიეცარა ხელი ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში ლენინგრადელ სტუდენტს კოჩიევს, რომლის სეკუნდანტიც მოსკოველი დიდოსტატი გახლდათ.

# სსრ კავშირის პირველობა

• •

## როდის შედგება 27-ე ტური?

პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებასთან დაკავშირებით 25, 26 და 27 ოქტომბერს დანიშნული საკავშირო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები გადატანილია.

ჩემპიონატის ეს ტური ჩატარდება 20, 21 და 22 ნოემბერს.

# ფეხბურთი

I ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ.“ | 36 | 21 | 7 | 8 | 65—29 | 49 |
| „კრ. სოვეტ.“ | 36 | 20 | 8 | 8 | 63—37 | 48 |
| „დინამო“ | 36 | 20 | 8 | 8 | 53—35 | 48 |
| ასკ | 36 | 19 | 9 | 8 | 53—32 | 47 |
| „ნეფთჩი“ | 36 | 17 | 9 | 10 | 48—28 | 43 |
| „ტავრია“ | 36 | 18 | 6 | 12 | 69—47 | 42 |
| „კუზბასი“ | 35 | 19 | 4 | 12 | 46—42 | 42 |
| „ზვეზდა“ | 36 | 13 | 10 | 13 | 51—55 | 36 |
| „ტორპედო“ | 36 | 13 | 10 | 13 | 35—39 | 36 |
| „შინიკი“ | 36 | 11 | 13 | 12 | 45—45 | 35 |
| „მეტალურგი“ (ზაპ.) | 36 | 11 | 12 | 13 | 40—45 | 34 |
| „ურალ.“ | 36 | 13 | 8 | 15 | 36—46 | 34 |
| „სპარტაკი“ (ივ.-ფრ.) | 36 | 8 | 15 | 13 | 35—39 | 31 |
| „პამირი“ | 35 | 10 | 11 | 14 | 41—46 | 31 |
| „სპარტაკი“ (ნალ.) | 36 | 9 | 13 | 14 | 34—45 | 31 |
| „ყუბანი“ | 36 | 10 | 10 | 16 | 52—67 | 30 |
| „სპარტაკი“ (ორჯ.) | 36 | 13 | 4 | 19 | 40—64 | 30 |
| „სტროიტ.“ | 36 | 9 | 11 | 16 | 39—51 | 29 |
| „მეტალურგი“ (ლიპ.) | 36 | 8 | 9 | 19 | 30—48 | 25 |
| „ტექსტილ.“ | 36 | 5 | 7 | 24 | 31—66 | 17 |

# ევროპის საკლუბო ტურნირების დღე

23 ოქტომბერს ევროპის ქალაქებში გაიმართა კონტინენტის საკლუბო ტურნირების კალენდარული მატჩები.

სსრ კავშირის ჩემპიონი — ერევნის „არარატი“ ირლანდიის ქალაქ კორკში შეხვდა თავის მეტოქეს ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში, ადგილობრივ „სელტიკს“.

ის-ის იყო დაიწყო თამაში და ზანაზანიანმა პირველი ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში: მან მოულოდნელად დაარტყა დაახლოებით 30 მეტრიდან, მე-60 წუთზე ღაზარიანმა მეორედ აიღო „სელტიკის“ კარი და უკვე მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას წუთი აკლდა, მასპინძლებმა შეძლეს ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. 2:1 — გაიმარჯვა „არარატმა“.

ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდათ თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში კიევის დინამოელებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მაინის ფრანკფურტში ისინი ადგილობრივ „აინტრახტს“ შეხვდნენ. მასპინძლებმა უკვე მე-2 წუთზე გახსნეს ანგარიში (გოლი გაიტანა ნიკელმა). გავიდა ნახევარი საათი და ონიშჩენკომ ახლოდან დარტყმით გაქვითა გოლი. შესვენების შემდეგ პირველ წარმატებას კვლავ ფრანკფურტელებმა მიაღწიეს: პენალტი ზუსტად გამოიყენა კერბელმა, მაგრამ დინამოელებმა განსაკუთრებული აღმავლობით ჩაატარეს მატჩის დასასრული, 83-ე წუთზე ბლოხინმა ხელმეორედ გაათანაბრა ანგარიში, 4 წუთის შემდეგ კი „აინტრახტის“ კარში გადამწყვეტი, მესამე ბურთი გაიტანა მუნტიანმა.

უეფა-ს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში მოსკოვის დინამოელები დრეზდენში შეხვდნენ თავიანთს ადგილობრივ თანაკლუბელებს. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მე-11 წუთზე გაიტანა ზაქსემ მოსკოველთა კარში.

მოგვყავს 23 ოქტომბერს ჩატარებული სხვა მატჩების შედეგები:

## ჩემპიონთა თასი

„ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) 5:1

„რუხი“ (ხოჟუვი, პოლონეთი) — „ფენერბახჩე“ (სტამბული, თურქეთი) 2:1

„ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ) — „მაგდებურგი“ (გდრ) 3:2

„დოჟა უიპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 1:2

ჰიკ-ი (ჰელსინკი, ფინეთი) — „ატვიდაბერგი“ (შვეცია) 0:3

„ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0:0

„ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) 4:1

## თასების მფლობელთა თასი

„ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 1:6

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) 3:0

„ლივერპული“ (ინგლისი) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:1

„გვარდია“ (ვარშავა, პოლონეთი) — „ფშვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:5

„კარლ ცაისი“ (იენა, გდრ) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) 1:1

„მალმიო“ (შვეცია) — „რეიპასი“ (ლაჰტი, ფინეთი) 3:1.

## უეფა-ს თასი

„ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — „ფკ ამსტერდამი“ (ჰოლანდია) 1:2

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „კიოლნი“ (გფრ) 1:1

„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) 1:0

„ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი, გფრ) 2:0

„იურგორდენი“ (შვეცია) — „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 0:2

„პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „პორტდაუნი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) 5:0

„ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — „რასინგ-ვაიტი“ (მოლენბეკი, ბელგია) 2:1

„ველეჟი“ (მოსტარი, იუგოსლავია) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) 1:1

„დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) 2:2

„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ) — „სტიაგულ როშუ“ (რუმინეთი) 8:0

„ჰიბერნიენი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2:4

„ნაპოლი“ (იტალია) — „პორტუ“ (პორტუგალია) 1:0

„ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) — „ლიონი“ (საფრანგეთი) 1:0

„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) 2:1

„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 1:0.

მეორე წრის მატჩები გაიმართება 6 ნოემბერს.

# დაჯილდოება

საქართველოს სპორტკომიტეტმა გაზეთ „ლელოს“ მეხუთათასე ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სპორტის პროპაგანდის მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის საამწყობო საამქროს თანამშრომელი ვალერი ძნელაძე.

ლელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიგელ კოლუმბიაში...

**ინტერვიუ**

როგორც ცნობილია, კოლუმბიის ქალაქ მედელინში გაიმართა ქალთა VI საჭადრაკო ოლიმპიადა. ჩემპიონის სახელი მეექვსედ მოიხვეჭა სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა. გუნდის მწვრთნელი გახლდათ რიგელი დიდოსტატი ა. გიპსლისი.

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა ნ. გაფრინდაშვილს და ესაუბრა მას. გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონის ნაამბობს.

— ბევრჯერ მითქვამს, რომ ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში ძალიან ძნელია თამაში. გუნდში მხოლოდ ორი მონაწილე და ერთი სათადარიგო მოთამაშეა. ორი კარგი მოჭადრაკე თითქმის ყველა ქვეყანას ჰყავს. შემთხვევითობასაც თუ გავითვალისწინებთ, რომელიც ყველა შეჯიბრებას ახლავს, ადვილი წარმოსადგენია რაოდენ მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს ხოლმე ჩემპიონის სახელისთვის. ასე იყო მედელინის ოლიმპიადაშიც.

მედელინი კოლუმბიის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ქალაქია მილიონიანი მოსახლეობით. აქაც როგორც საერთოდ მთელს კოლუმბიაში, ყავისა და საფეიქრო მრეწველობაა განვითარებული. იქ ყოფნისას ყოველ წუთს ვგრძნობდით ეკვატორის სიახლოვეს. თბილოდა. ზოგჯერ წვიმდა კიდეც, მაგრამ ქუჩები სწრაფად შრებოდა, როგორც, მაგალითად, ბათუმში იცის.

კოლუმბიელები ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ. მასპინძლებმა გულთბილად მიგვიღეს. მერე შევიტყვეთ, რომ ამ ქვეყანაში ჭადრაკს სპორტის სახეობათა შორის პოპულარობის მხრივ მეორე ადგილი უკავია. როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, აქაც მთავარი სახეობა ფეხბურთი ყოფილა. მონაწილენი დავბინავდით კომფორტულ სასტუმრო „ინტერკონტინენტალში". ჩვენს განკარგულებაში იყო საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, მაგიდის ჩოგბურთის სარბიელი. სასტუმროს ვეებერთელა ჰოლში ეწყობოდა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. ოლიმპიადის საზეიმო დახურვაც აქ მოეწყო.

თვით ოლიმპიადა მედელინში, სადაზღვეო კომპანიის შენობაში ტარდებოდა. მონაწილენი თამაშის დროს მაყურებლისგან მინის ტიხარით ვიყავით გამოყოფილი. გულშემატკივართა ხაუზარი სრულიად არ გვიშლიდა ხელს. თანაც ისე ვისხედით (კედლის გასწვრივ), რომ ყველას შეეძლო დაფაზე შექმნილი პოზიცია საკუთარი თვალით დაენახა.

სათამაშოდ 25 ქვეყნის გუნდები ჩამოვიდნენ. ეს იყო ყველაზე ხალხმრავალი ოლიმპიადა. შეჯიბრებისადმი ძალიან დიდი ინტერესი გამოიჩინეს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა. მაგალითად, პანამამ გამოგზავნა გუნდი, რომლის წევრებსაც ჭადრაკის თამაში მხოლოდ ორი თვის ნასწავლი ჰქონდათ. თვით მასპინძლებმა ორი გუნდი გამოიყვანეს. სამხრეთამერიკელებს ხამგზავროდ დიდი ხარჯის გაწევა არ სჭირდებოდათ, შეჯიბრებაში მონაწილეობა კი გულით სურდათ.

კოლუმბიელები ოლიმპიადას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს. თითქმის ყველა გაზეთი ფართოდ აშუქებდა სპორტულ ბრძოლებს, ხშირად აქვეყნებდა მონაწილეთა ინტერვიუს, ზოგი პარტიებსაც ბეჭდავდა სათანადო კომენტარებით, უხვად იბეჭდებოდა მოჭადრაკეთა ფოტოსურათები...

თავიდანვე ვიცოდით, რომ ოქროს მედლებისთვის ძალიან დაძაბული ბრძოლა გველოდა. ძლიერი გუნდები გამოგზავნეს იუგოსლავიამ, რუმინეთმა, უნგრეთმა და ბულგარეთმა. თუმცა რუმინელებს ამჯერად გუნდში არ ჰყავდათ ალექსანდრა ნიკოლაუ (იგი ჰოლანდიაში გადასახლდა). სამაგიეროდ, ბულგარელთა კოლექტივის შემადგენლობაში იყო ამ ქვეყნის ახალი ჩემპიონი, სსრ კავშირის ქალთა თასის პირველი მფლობელი ტატიანა ლემაჩკო, რომელიც შარშან ბულგარეთში გათხოვდა.

ძლიერი კოლექტივებიდან არ ჩამოვიდნენ გდრ-ისა და პოლონეთის გუნდები. აღმოჩნდა, რომ პოლონეთის ნაკრების წევრებს ჩვილი ბავშვები ჰყავთ და, ცხადია, იქაურმა ჭადრაკის მესვეურებმაც სუსტი გუნდის გამოგზავნას აჯობინეს სულ არ მიეღოთ მონაწილეობა შეჯიბრებაში. გდრ-ის გუნდი რატომ არ ჩამოვიდა, არ ვიცი.

ვინაიდან ოლიმპიადის დღეები რეგლამენტირებული იყო, მონაწილენი ჯგუფებად დაგვყვეს. განთესვა მოხდა V ოლიმპიადის შედეგების მიხედვით. ჯგუფებში გაიმარჯვეს სწორედ იმ გუნდებმა, რომლებსაც წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ფინალში ათი უძლიერესი გუნდი თამაშობდა. ტურნირი უაღრესად დაძაბული და ამაღელვებელი იყო.

აქ მოყვანილი ცხრილი გაგაცნობთ ოლიმპიადის ტექნიკურ შედეგებს. ეს მომხდარი ფაქტების მშრალი აღნუსხვაა. აქვეა მეორე ცხრილი. იგი გვიხატავს ლიდერთა ჭიდილის სურათს. მაგრამ ვიდრე ამ ცხრილებს დაუკვირდებოდეთ, მსურს შემდეგი გიამბოთ:

ფინალი წაგებით დავიწყეთ. პირველ ტურში მოულოდნელად დამარცხდა ნანა ალექსანდრია. მას ჰოლანდიელ ბელთან მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ შეცდა, როცა ეტლების გაცვლა მოიწადინა. მის მეფეს შამათი გამოუცხადეს. ეს ისე მოხდა, არაფერი გამიგია. ნანა მოშორებით მჯდარი რომ დავინახე, თვალებით ვკითხე, რა ჰქენი-მეთქი? ნულიო, მანიშნა. გუნება გამიფუჭდა. გამახსენდა წინა ოლიმპიადა, როცა რუმინელთან ჩემმა პარტნიორმა პარტია წააგო. ანგარიშის გაქვითვა მოვიწადინე და კიდევ უფრო გავაფუჭე საქმე. ამიტომ ახლა თანაბარ პოზიციაში აღარ „გავართულე" მდგომარეობა და ყაიმს დავჯერდი.

კიდევ ერთხელ გაგვიჭირდა ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრაში, მაგრამ მატჩი ყაიმით დავამთავრეთ.

შემდეგ ფინიშის იმედი გვქონდა. უნდა გვეთამაშა მხოლოდ და მხოლოდ მოგებისთვის. მერწმუნეთ, ეს თითქმის აღემატება ადამიანის ძალას. ვერაფერს გავხდებოდით, მეტოქეები რომ არ „დაგვხმარებოდნენ". მაგალითად, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ბროლოსწინა, VIII ტურში თითქმის უკვე ჩემპიონის — ბულგარეთის გუნდის დამარცხება რუმინელებთან ანგარიშით 0:2. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა მატჩს ვიგებდით.

დასკვნით ტურში უნგრელებს შევხვდით. ხელს გვაძლევდა მხოლოდ მოგება, საკმარისი იყო ანგარიშიც 1,5:0,5. ჩვენ პატარა ტაქტიკურ-ფსიქოლოგიურ ხერხს მივმართეთ: გადავწყვიტეთ, რომ ამ დიდი მნიშვნელობის მატჩში ნანას მაგიერ სათადარიგო წევრს ლევიტინას ეთამაშა. საჭირო იყო ეს გადაწყვეტილება მეტოქეებს არ სცოდნოდათ. ამიტომ ლევიტინას თავი ისე ეჭირა, თითქოს არ უნდა გამოსულიყო და უნგრელებმა ქუჟა ვერეცი ალექსანდრიას წინააღმდეგ მოამზადეს..

გადახედეთ უნგრელებთან მატჩის პარტიებს. ერთი შენიშვნა: მარია ივანკამ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. პარტიაც საინტერესო გამოვიდა, თუმცა ყაიმით დასრულდა.

### გაფრინდაშვილი — ივანკა

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კe2 e6 7. 0—0 კe7 8. f4 ლc7 9. კf3 მc6 10. მ:c6 bc 11. e5 მd5 12. მe4 de 13. fe 0—0 14. c4 ლb6+ 15. მფh1 მe3 16. კ:e3 ლ:e3 17. მf6+ gf 18. კ:c6 ეb8 19. ef კ:f6 20. ე:f6 ე:b2 21. ლh5 კb7 22. კ:b7 ე:b7 23. ეaf1 ლe4 24. ლg5+ მფh8 25. ე6f4 ლg6 26. ლe5+ ლg7 27. ეf6 ეfb8 28. h3 ეb1 29. მფh2 ეg8 30. ე1f2 ეf1 31. ლe3 ე:f2 32. ლ:f2 ეf8 33. ლf4 მფg8 34. h4 ეc8 35. მფh3 ე:c4 36. ლ:c4 ლ:f6 37. ლc8+ მფg7 38. ლ:a6 ლf5+ 39. მფh2 ლf4+ 40. მფh3 ლf5+ 41. მფh2 ლf4+ 42. g3 ლd2+ 43. მფh3 e5 44. ლa8 e4 45. ლc4. ყაიმი.

### ვერეცი — ლევიტინა

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. c4 მb6 5. f4 g6 6. მc3 de 7. fe კg7 8. კe3 0—0 9. კe2 c5 10. dc მ6d7 11. მf3 მ:e5 12. ლ:d8 ე:d8 13. მd5 მbc6 14. მ:e5 კ:e5 15. 0—0—0 კf5 16. კf3 e6 17. g4 ed 18. cd კd7 19. dc კ:c6 20. კ:c6 bc 21. h3 f6 22. მფc2 მფf7 23. ეhg1 ეab8 24. b3 f5 25. gf gf 26. კg5 ე:d1 27. ე:d1 მფe6 28. a3 f4 29. b4 h6 30. კh4 ეg8 31. მფd3 ეg2 32. ეd2 ე:d2+ 33. მფ:d2 მფd5 34. მფd3 კd4 35. მფe2 მფe4 36. კe7 f3+ 37. მფf1 მფd5 38. h4 h5 39. კg5 მფc4 40. კf4 a6 41. კg5 კb2 42. a4 მფ:b4 43. მფf2 მფ:a4 44. მფ:f3 მფb3 45. კd8 კc3. ვერეცი დანებდა.

რუმინელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისელები დაამარცხეს — 2:0. ჩვენ და რუმინეთის გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაგვიგროვდა. ვინაიდან ერთმანეთთან შეხვედრა ყაიმით გვქონდა დამთავრებული, დამატებითი ორწრიანი მატჩი გვათამაშეს ჩემპიონობის ბედის გადასაწყვეტად. მართალი გითხრათ, ეს შეხვედრა არ გვაშინებდა...




პირველ მატჩში მე და ნანამ ვითამაშეთ. მე ისევე, როგორც ფინალში, პოლიქრონიადეს სწრაფად მოვუგე. ნანას დიდი ბრძოლა ჰქონდა ბაუმშტარკთან და დაამარცხა იგი. მეორე მატჩში დაფებს მე და ლევიტინა მივუსხედით. ამჯერად პოლიქრონიადესთან თამაში უფრო დაძაბული იყო, მაგრამ სასურველ ყაიმს მივაღწიე. ლევიტინასაც ბრძოლა დასჭირდა, რათა რუმინელი ყაიმზე დაეთანხმებინა.

ასე გავხდით ჩემპიონები. შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე სამივეს ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები გადმოგვცეს. ეს ჩემთვის უკვე მეხუთე მედალია, ნანასა და ირინასთვის — მეორე.

უნდა ითქვას, რომ მთელი შეჯიბრების მანძილზე მეგობრობის ატმოსფერო სუფევდა. შეჯიბრებას ბევრი სტუმარი ჰყავდა. გვეწვივნენ ფიდე-ს პრეზიდენტი, ჰოლანდიელი დიდოსტატი მაქს ეივე, ფიდეს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატი შაიტარი და სხვები. გამოდიოდა სპეციალური ბიულეტენი, რომელშიც ოლიმპიადის ყველა პარტია დაიბეჭდა.

მასპინძლებმა მონაწილეთათვის საგანგებო პრიზები დააწესეს. სხვათა შორის, მე და ლევიტინამ ჩვენს დაფებზე საუკეთესო შედეგისთვის პრიზები მივიღეთ. მასპინძლები აჯილდოებდნენ მხოლოდ იმ მოჭადრაკეებს, ვისაც რვაზე ნაკლები პარტია არ ექნებოდა ნათამაშევი. ნანას მხოლოდ 7 პარტიის თამაში მოუხდა, მე 9 პარტია ვითამაშე, ირინამ — 8.

შემოქმედების თვალსაზრისით ყველას ჰქონდა რამდენიმე მოსაწონი პარტია, თუმცა პარტიათა უმრავლესობას მაინც ნერვული ბრძოლის ბეჭედი აზის. გთავაზობთ მათგან რამდენიმეს.

### გაფრინდაშვილი — პოლიქრონიადე

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 e5 6. მdb5 d6 7. a4 a6 8. მa3 კe6 9. კc4 კ:c4 10. მ:c4 მ:e4 11. მ:e4 d5 12. კg5 f6 13. კ:f6 gf 14. ლ:d5 მd4 15. 0—0—0 კe7 16. მed6+ კ:d6 17. მ:d6+ მფe7 18. ე:d4 ed 19. ეe1+. პოლიქრონიადე დანებდა.

### გაფრინდაშვილი — პოლიქრონიადე

უფიმცევის დაცვა

1. e4 g6 2. d4 კg7 3. მc3 c6 4. f4 d5 5. e5 h5 6. მf3 კg4 7. კe3 e6 8. კe2 კ:f3 9. კ:f3 მh6 10. კf2 მd7 11. 0—0 ლa5 12. a3 მf5 13. ლe2 კf8 14. g3 c5 15. b4 cb 16. ab ლb6 17. მa4 ლ:b4 18. c3 ლa5 19. ეfb1 ლc7 20. c4 მe7 21. მc3 მc8 22. მb5 ლb8 23. cd ed 24. ეc1. პოლიქრონიადე დანებდა.

### კ. იოვანოვიჩი — ალექსანდრია

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. მf3 g6 5. მg5 c6 6. კc4 კg7 7. ლe2 h6 8. მf3 კg4 9. კ:d5 cd 10. ლb5+ მc6 11. ლ:b7 ლc8 12. ლb3 კ:f3 13. gf 0—0 14. ლe3 de 15. de მ:e5 16. c3 d4 17. ლe2 ლh3 18. მd2 dc 19. bc ეad8 20. ლe4 მd3+ 21. მფe2 კ:c3. იოვანოვიჩი დანებდა.

ფინალური ბრძოლის სიმძაფრის გამო სხვა მონაწილეთა თამაშს ყურადღებით ვეღარ ვაკვირდებოდით. ხშირად მესმოდა 14 წლის ესპანელი მოჭადრაკის გარსიას ქება, რომელმაც ესპანეთის გუნდი I ადგილზე გაიყვანა მეორე ჯგუფში.

ოლიმპიადის შემდეგ ოთხი დღე კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში დავყავით. აქ საუცხოო მეგზურობა გაგვიწია ჩვენმა თანამემამულე ზურაბ ფერაძემ. ზურაბი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის სტუდენტია, ბოგოტაში საბჭოთა საელჩოში იყო პრაქტიკაზე. საერთოდ, ჩვენი საელჩო დიდ ყურადღებას გვაქცევდა. საელჩოს თანამშრომლები მედელინშიც გვაკითხავდნენ.

ბოგოტაში დავათვალიერეთ ოქროს მუზეუმი, რომელსაც დედამიწის ზურგზე ბადალი არ მოეპოვება. მუზეუმში გამოფენილია უძველესი დროიდან შემორჩენილი ოქროს ნაკეთობანი, ინდიელთა ნახელავი სამკაულები, ბეჭდები, სამაჯურები... ვიყავით, აგრეთვე, მარილის საბადოების ძეგლის სირაკიპას სანახავად. ერთი სიტყვით, ბოგოტაში ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმო ვნახეთ.

რა თქმა უნდა, ჭადრაკიც ვითამაშეთ. ერთდროული თამაშის სეანსში 22 კოლუმბიელს შევხვდი და ყველა პარტია მოვიგე. შემომთავაზეს მონაწილეობა მიმეღო ვაჟთა ელვისებური თამაშის ტურნირში. პირველი ჯილდო დიდოსტატმა აივარ გიპსლისმა დაისაკუთრა, მეორე — 18 წლის კოლუმბიელმა გონსალესმა, მესამე ჯილდო კი მე მხვდა. ცნობილი საერთაშორისო ოსტატი კუელარი უპრიზოდ დარჩა.

კოლუმბიის ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებმა შესანიშნავად მოაწყვეს ოლიმპიადა.

ვიცი, გაინტერესებთ გადაწყდა თუ არა ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების შემოღების საკითხი. როგორც ცნობილია, ამ წოდების შემოღება ჩვენი ოლიმპიადის დღეებში უნდა დაემტკიცებინათ. მედელინში საგანგებოდ ჩამოვიდნენ ფიდე-ს პრეზიდენტი ეივე, ფიდე-ს საკლასიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიელი დორაზილი, ამერიკელი პროფესორი ელო და სხვები.

იყო შეთანხმება, რომ პროფესორი ელო წარმოადგენდა უძლიერესი მოჭადრაკე ქალების ძალის განმსაზღვრელ ფურცელს. პროფესორმა შეადგინა იგი. აი, ოლიმპიადის მონაწილეთა უძლიერესი შვიდეული:

ნ. გაფრინდაშვილი 2425
ნ. ალექსანდრია 2330
ი. ლევიტინა 2330
მ. ივანკა 2300
ჟ. ვერეცი 2280
ე. პოლიქრონიადე 2240
ტ. ლემაჩკო 2220

ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე მილუნკა ლაზარევიჩი (იუგოსლავია) ძალიან მონდომებული იყო, რომ ქალთა შორის პირველი საერთაშორისო დიდოსტატების სახელები მედელინში გამოცხადებულიყო, მაგრამ კანდიდატურები კონგრესმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტა ფიდე-ს 44-ე კონგრესამდე გადაიდო.




| მონაწილენი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | ქულ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | ● | 1 | 1½ | 1½ | ½ | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 13½ | I—II |
| 2. რუმინეთი | 1 | ● | 2 | 1 | 1 | 1 | 1½ | 2 | 2 | 2 | 13½ | I—II |
| 3. ბულგარეთი | ½ | 0 | ● | 1½ | 1½ | 2 | 2 | 1½ | 2 | 2 | 13 | III |
| 4. უნგრეთი | ½ | 1 | ½ | ● | 2 | 2 | 1½ | 1½ | 2 | 2 | 13 | IV |
| 5. ჰოლანდია | 1½ | 1 | ½ | 0 | ● | 0 | 1 | 2 | 1½ | 2 | 9½ | V |
| 6. ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | ● | 1 | 1 | 1½ | 1½ | 9 | VI |
| 7. იუგოსლავია | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | ● | 2 | 1½ | 1 | 7½ | VII |
| 8. ინგლისი | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 1 | 0 | ● | 1 | 1 | 4 | VIII |
| 9. გფრ | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | ● | 1½ | 4 | IX |
| 10. კანადა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | ● | 3 | X |

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | ½ | 2 | 4 | 5 | 6 | 8 | 10 | 12 | 13½ |
| რუმინეთი | 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 8½ | 9½ | 11½ | 13½ |
| ბულგარეთი | 1½ | 2 | 4 | 6 | 8 | 10 | 11½ | 11½ | 13 |
| უნგრეთი | 1½ | 3½ | 4½ | 6 | 7 | 8 | 10 | 12½ | 13 |




### მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

# კარპოვი — კორჩნოი 2:0 (13 ყაიმი)

მოსკოვი, 24 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ოთხდღიანი დასვენების შემდეგ გუშინ კარპოვ — კორჩნოის მატჩში ბრძოლა განახლდა, გათამაშდა XV პარტია.

მეტოქეებმა პარტია რეტის დებიუტით დაიწყეს და თითქმის 15 სვლის განმავლობაში სტრატეგიულად იბრძოდნენ. ორივე დიდოსტატი მაქსიმალურად აუმჯობესებდა ფიგურების განლაგებას. მაგალითად, კორჩნოიმ მე-10 სვლაზე 40 წუთს იფიქრა. იგი სამ ფიგურაში ლაზიერის მოგებამაც ვერ მოხიბლა, მტკიცედ მისდევდა ჩაფიქრებულ გეგმას.

კორჩნოი მეფის ფრთის დალაშქვრას ფიქრობდა. კარპოვი საწინააღმდეგო ფრთაზე აქტივობდა. მისი ერთ-ერთი მხედარი მეტოქის პოზიციის შუაგულში შეიჭრა.

რთულმა თამაშმა ბევრი დრო შთანთქა. მოახლოებულმა ცაიტნოტმა ააჩქარა კორჩნოი, თუმცა სწორედ მწვავე ენდშპილში სჭირდებოდა დრო ღრმად გააზრებული გადაწყვეტილებების მისაღებად. სიჩქარეში მან პოზიცია გააუარესა და პაიკიც წააგო.

კარპოვმა მოგების რეალური შანსი მიიღო, მაგრამ აჩქარდა, თუმცა მოსაფიქრებლად საკმაო დრო ჰქონდა. იგი ვერ ჩასწვდა 37-ე სვლაში ჩაწნულ კორჩნოის აზრს და იძულებული შეიქნა გამოსთხოვებოდა ზედმეტ პაიკს. ამ დანაკლისთან ერთად მოგების იმედიც გაქრა.

ხუთსაათიანი თამაშის დასასრულს პარტია თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო. დღეს ბრძოლის განახლებისას მეტოქეებმა თითო სვლა გააკეთეს და დაზავდნენ.

გთავაზობთ XV პარტიას:

### კორჩნოი — კარპოვი

რეტის დებიუტი

1. მf3 მf6 2. g3 d5 3. კg2 კf5 4. c4 c6 5. cd cd 6. ლb3 ლc8 7. მc3 e6 8. d3 მc6 9. კf4 კe7 10. 0—0 0—0 11. ეac1 კg6 12. მe5 მd7 13. მ:g6 hg 14. h4 მc5 15. ლd1 ლd8 16. d4 მd7 17. e4 მb6 18. e5 ეc8 19. კh3 a6 20. მფg2 მc4 21. b3 მa3 22. მa4 მb4 23. ლd2 b5 24. მc5 კ:c5 25. dc მc6 26. ეe1 d4 27. კg4 ლa5 28. ლ:a5 მ:a5 29. კd2 მc6 30. კf3 d3 31. ეe3 მc2 32. ე:d3 მ:e5 33. ეd6 ე:c5 34. კe4 ეfc8 35. ეd1 მc6 36. კg5 a5 37. ეd7 მb4 38. ეb7 მd5 39. კ:d5 ed 40. კe7 ე5c7 41. ე:c7 ე:c7 42. კd8 ეd7 43. კ:a5 d4 44. a4 ba 45. ba ეa7 46. კb6 ე:a4 (ჩაწერილი სვლა) 47. მფf1. ყაიმი.

• • •

მატჩის მსაჯთა კოლეგიამ დააზუსტა შემდგომი პარტიების გათამაშების რეგლამენტი.

XVI პარტია შედგება ლიტერატორთა ცენტრალური სახლის დიდ დარბაზში, სადაც, სხვათა შორის, კარპოვ—პოლუგაევსკის მეოთხედფინალური მატჩი ჩატარდა.

მომდევნო ოთხ პარტიას, რომლებიც უნდა შედგეს 28 და 30 ოქტომბერს, 1 და 4 ნოემბერს, პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი უმასპინძლებს. XXI და XXII პარტიები შესაბამისად 6 და 8 ნოემბერს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართება. დასკვნითი ორი შეხვედრა ისევ პ. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში შედგება.

ყველა გადადებული პარტიის დასამთავრებლად შეხვედრები უწინდებურად სსრ კავშირის ჭადრაკის კლუბში მოეწყობა, ოღონდ მეტოქეები უმაყურებლოდ ითამაშებენ.



# მორიგი ტირაჟის შედეგები

შეჯამდა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 29-ე ტირაჟისა, რომელიც 20 ოქტომბერს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი გამოიცნო ერთმა კაცმა, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3338 მანეთია (137 ბილეთი), ოთხისთვის — 57 (7936), სამისთვის — 4 მანეთი (150254).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1755 მანეთია (49 ბილეთი), ოთხისთვის — 26 (4244), სამისთვის — 3 მანეთი (57388).

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 1-დან 30 ნოემბრის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი მოეწყობა 30 ოქტომბერს. (საქდესი).

# მედლები განაწილდა

დასკვნითი, XIX ტურის წინ მოეწყო შეხვედრები ოთხი გადადებული პარტიის დასამთავრებლად: მ. რანიკუმ (ტალინი) სძლია თანამემამულე ტ. ფომინას, ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) — მ. სამულს (ტალინი) და ტ. კოსტინამ (მინსკი) — რ. ბილუნოვას (მოსკოვის ოლქი). ბილუნოვა — მ. შულის (ლვოვი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

XIX ტურში სსრ კავშირის ჩემპიონი ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი) სწრაფად დაუზავდა თანაქალაქელ ტ. პოპოვას. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ც. კობაიძე — ბილუნოვას, კოსტინა თ. გოლოვეის (მინსკი) და ტ. მოროზოვა (ლვოვი) — თ. ხუგაშვილის შეხვედრები.

სტრატეგიული იყო შულ — ა. გრინფელდის (კალინინგრადი) ბრძოლა. მეტოქენი დაკვირვებით თამაშობდნენ და ყაიმი შეხვედრის სავსებით ლოგიკური შედეგი იყო.

კოზლოვსკაიამ ე. ბახრეხთან (მოსკოვი) თამაში ენდშპილში გადაიყვანა და დიდი მოთმინებით იბრძოდა უპირატესობის მისაღებად, მაგრამ ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია.

მ. ჩიბურდანიძე თავიდანვე იერიშს ამზადებდა ნ. მედიანიკოვას (მოსკოვი) მეფეზე. ფიგურების მობილიზებას რომ მორჩა, მან ლაშქარიც დაძრა. მაია გაბედულად უტევდა: ეტლი შესწირა და ორი გამსვლელი პაიკი მიიღო. მხოლოდ ანალიზით შეიძლება ამ შეწირვის სისწორის დადგენა. პრაქტიკულად მას ჩიბურდანიძისთვის წარმატება უნდა მოეტანა, მაგრამ მოჭადრაკე გოგონამ პარტიის ფინალში უსწოროდ ითამაშა, ლაზიერების გაცვლას თავი აარიდა და დამარცხდა.

— როგორ ვერ მივხვდი, რომ ლაზიერების გაცვლის მერე ჩემი პაიკები წინ წავიდოდნენ? — უსაყვედურებდა თავის თავს წაგებით აცრემლებული პატარა მაია. ქონდა კიდეც გულდასაწყვეტი: მოგების შემთხვევაში იგი III-IV ადგილებს გაიყოფდა.

რანიკუმ ადვილად მოუგო სამულს.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა. გაგაცნობთ საბოლოო შედეგებს:

I. ე. ფატალიბეკოვა — 14 ქულა, II. მ. შული — 12, III. ვ. კოზლოვსკაია — 11,5, IV. მ. რანიკუ — 11, V-VII. მ. ჩიბურდანიძე, ა. გრინფელდი, ლ. მულენკო — 10,5-10,5, VIII-X. ც. კობაიძე, ტ. კოსტინა, რ. ბილუნოვა — 9,5-9,5, XI-XII. მ. სამული, ნ. მედიანიკოვა — 9-9, XIII. ა. კისლოვა (ომსკი) — 8,5, XIV. თ. გოლოვეი — 8, XV. ტ. მოროზოვა — 7, XVI-XVII. ტ. ფომინა, ტ. პოპოვა — 6-6, XVIII. ე. ბახრეხი — 5, XIX. თ. ხუგაშვილი — 4.

გუშინ საღამოს ჭადრაკის სასახლეში საკავშირო პირველობა საზეიმოდ დაიხურა. ჩემპიონის ოქროს მედალი გადაეცა ფატალიბეკოვას, ვერცხლისა — შულს, ბრინჯაოსი — კოზლოვსკაიას.

თ. ნინოშვილი.

# ანატოლი ფიოდოროვი

იგი იყო ერთ-ერთი საუკეთესო ფარიკაობის მწვრთნელი და პედაგოგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირშიც. რამ მოუტანა ანატოლი ფიოდოროვს ასეთი საყოველთაო აღიარება? უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერი ნორჩი მოფარიკავეების აღზრდამ. დიახ, ძალიან რთულია ბავშვში აღმოაჩინო მომავალი დიდი სპორტსმენი, გაიგო მისი სულისკვეთება და, როგორც ამბობენ, გზაზე დააყენო. პატივცემულ ანატოლის ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა. ყოველივე ეს სათქმელად და დასაწერად არის იოლი, მაგრამ მწვრთნელის ასეთი ალღო რომ გქონდეს, საჭიროა თავად იყო განათლებული, ინტელიგენტი და უებრო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ანატოლი ფიოდოროვს, ამაგდარ მწვრთნელსა და ნათელს პიროვნებას მოჭარბებულად ჰქონდა ყველა ეს საუკეთესო თვისება.

სწორედ მან, ანატოლი ფიოდოროვმა „აღმოაჩინა“ და ქართულ ფარიკაობას გამოუზარდა ისეთი სპორტსმენები, როგორიც არიან რევაზ ცირეკიძე, გიორგი გოგელია, იური ოსიპოვი, გურამ ჩხაიძე, იზოლდა ესეიაშვილი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, გივი ანდრიაძე...

დიდი იყო ანატოლი ფიოდოროვის ავტორიტეტი საფარიკაო სამყაროში, დაუფასებელია მისი ამაგი ქართული და საბჭოთა ფარიკაობის განვითარებაშიც. საფარიკაო წრეებში დაუღალავ „პოლემიკოსად“ ცნობილი აღმზრდელი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ეძიებდა გზებს თავისი ნორჩი მუშკეტერების უკეთ დაოსტატებისთვის. მას შეხვდებოდით ყველგან, სადაც კი მოფარიკავეთა შეჯიბრება იმართებოდა, შეხვდებოდით თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზშიც. დიახ, მრავალი წლის მანძილზე მომავალ მსახიობებს ანატოლი ფიოდოროვი საფარიკაო ხელოვნებას ასწავლიდა. როცა სცენაზე საფარიკაო ბატალიები იმართება, იცოდეთ, რომ მსახიობებს რაინდთა განუყრელი იარაღის ფლობა ამაგდარმა მწვრთნელმა ასწავლა.



საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ხშირად ნახავდით პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საფარიკაო დარბაზში. აქ მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდა ჩვენი ფარიკაობის ჯეჯილი.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ სიტყვა პოლემიკოსი. ანატოლი ფიოდოროვს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ფარიკაობის სიყვარული, ვერ იტანდა კონსერვატორულ დამოკიდებულებას თავისი საყვარელი საქმისადმი, მაგრამ არც ისე იოლად მიიღებდა ახალს, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ეს სიახლე ფარიკაობის კეთილი მომავლისთვის გამოდგებოდა. კამათობდა, იბრძოდა, რამეთუ იცოდა კამათში იბადება ჭეშმარიტება...

თავის დროზე ანატოლი ფიოდოროვი სპორტსმენი იყო, ძლიერი და გამოცდილი სპორტსმენი. რა სახეობას არ მისდევდა, სად არ მოუსინჯავს სიჭაბუკის წლებში ძალა. იყო მძლეოსანი, მსროლელი, ტანმოვარჯიშე, მოცურავე... მაგრამ ბოლოს მაინც ფარიკაობა აირჩია. რატომ? ამის თაობაზე მას დაუსრულებლად შეეძლო ესაუბრა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე ნათლად მაინც თავისი საქმიანობით უპასუხა. დიახ, მისი დევიზი იყო საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და აკი გამოაჩინა კიდეც.

უებრო მოსაუბრე და ფართო ერუდიციის მწვრთნელი თავის მოწაფეებს მარტო ფარიკაობას როდი ასწავლიდა. იგი უპირველეს ყოვლისა მოწაფეში აფასებდა მამულიშვილობასა და განათლებულობას. ვერ იტანდა ცალმხრივ, უწიგნურ სპორტსმენებს. ამიტომ ანატოლი ფიოდოროვის მოწაფეები გამოირჩევიან არა მარტო ფარიკაობის ღრმა ცოდნით, არამედ მოქალაქეობრივი სიწმინდითაც.

90 წელს მიღწეული ბერიკაცი ჭაბუკური ენერგიით უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობებს. იგი გამუდმებით ჭარასავით ტრიალებდა საფარიკაო დარბაზში, რათა არც ერთი ნორჩისთვის ყურადღება, კეთილი სიტყვა არ დაეკლო, გული არ დაეწყვიტა.

60 წელზე მეტხანს ემსახურა ამაგდარი მწვრთნელი ქართულ ფარიკაობას. იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ჩვენი ფარიკაობის აკვანთან იდგა. ამ ხნის მანძილზე მას ერთი წამითაც არ უცხოვრია თავისი საყვარელი სახეობის გარეშე. ანატოლი ფიოდოროვი მაგალითი იყო ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია სიტყვა სპორტსმენი.

წელგამართული, მუდამ მხნედ მომზირალი, სიჯანსაღის განსახიერება გახლდათ. იგი იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა მომაჯადოებელი გავლენა შეიძლება მოახდინოს ადამიანის სიჯანსაღეზე ფიზკულტურამ და სპორტმა. სიცოცხლის ბოლომდე, ვიმეორებთ, 90 წელს მიტანებულმა კაცმა შეინარჩუნა სიმხნევე და ცინცხალი აზროვნება. დიახ, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ანატოლი ფიოდოროვი საფარიკაო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. სწორედ ამიტომაა მასთან განშორება გულდასაწყვეტი.

ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაცია;
თბილისის განათლების განყოფილება.

# ჩოგბურთის კორტებზე

სიდნეიში გაიმართა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი დახურულ შენობებში. წარმატება ხვდა მასპინძელ ჯონ ნიუკომბს. ნახევარფინალში მან თანამემამულე ტონი როჩს სძლია (4:6, 6:1, 6:4), ხოლო ფინალში ამერიკელი კლიფ რიჩი დაამარცხა — 6:4, 6:3, 6:4. ამ გამარჯვების შემდეგ ნიუკომბი კვლავ გამოვიდა კორტზე, რათა წყვილთა ფინალურ ასპარეზობაში მიეღო მონაწილეობა. ეს შეხვედრა მთლიანად „ავსტრალიური“ იყო: ნიუკომბი როჩთან ერთად თამაშობდა, მათი მეტოქეები კი ჯეფ მასტერსი და როს კეისი იყვნენ. გაიმარჯვეს ამ უკანასკნელებმა — 6:3, 6:4.

ლოს-ანჯელესში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. ბრწყინვალედ ითამაშა ავსტრალიელმა ივონ გულაგონგმა, რომელმაც მასპინძელი ქვეყნის ჩოგბურთელები დაჯაბნა: ნახევარფინალში მოუგო ბილი-ჯინ კინგს (6:2, 4:6, 6:3), ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონი კრის ევერტი დაამარცხა — 6:3, 6:4.

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირშიც ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი თამაშობდა და შეხვედრებიც უაღრესად საინტერესო გამოდგა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა იყო მეოთხედფინალური მატჩი: ბიორნ ბორგი (შვეცია) — იან კოდეში (ჩეხოსლოვაკია). ბორგმა მოიგო ბრძოლა (0:6, 9:7, 7:5), მაგრამ ნახევარფინალში მასპინძელ მანუელ ორანტესთან წააგო — 1:6, 5:7, 2:6. მეორე ნახევარფინალში რუმინელმა ილიე ნასტასემ საკმაოდ იოლად სძლია ფრანსუა ჟოფრეს (საფრანგეთი) 6:3, 6:0, 6:2. ფინალში ნასტასემ ორანტესის წინააღმდეგობა გასტეხა და გაიმარჯვა — 8:6, 9:7, 6:3.

პალერმოში დიდი ინტერესი გამოიწვია იტალიის პირველობამ. ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეხუთედ მოიხვეჭა ადრიანო პანატამ. ფინალურ მატჩში მან კორადო ბარაცუტის სძლია — 3:6, 2:6, 6:2, 6:3, 6:2.

ასევე ზედიზედ მეხუთედ (სულ კი მეცხრედ) მოიპოვა იტალიის ჩემპიონის სახელი ლეა პერიკოლიმ, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ეველინ პაპალეს აჯობა — 6:4, 9:7.




ძვირფასო მეგობრებო, სპორტის მოყვარულებო!

მოგაგონებთ, რომ გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლელოზე“ 1975 წლისთვის.

ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასი: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

27 ოქტომბერს

თბილისის VI სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. დასაწყისი 14 ს.

მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში: ფიზკულტურის ინსტიტუტი — „განთიადი“ (თბილისი). დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04777